

# საბა


საქართველოს კათოლიკთა  
ყოველთვიური მანები

THE MONTHLY BULLETIN OF  
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

N10 (334) | 2023



რედაქტორის მვერდი ... 3-4
პათოლიგი ეკლესია
მსოფლიოში ..... 5-6
ჩვენი ეკლესია ..... 7-11
ჩანართი ..... I-IV
ერისთავს თანამედროვე მოწევი ..... 12-13
სოციალური მვერდი Iner Georgia ..... 14
სოციალური მვერდი - Caritas Georgia ..... 15
საბაზის ქრონიკები ..... 16
პათოლიკური კულინარია ..... 17
საბაზო მვერდი ..... 18
ინფორმაცია ..... 19



## ოქტომბერი

მისიონერთა თვე

- 4** ოქტომბერი - წმ. ფრანცისკე ასიზელი, ფრანცისკელ  
მამათა დღესასწაული, მ. იან სნეუინსკის გახსენება (+2011)
- 5** ოქტომბერი - წმ. ფაუსტინა კოვალსკა, რუსთავის  
კათოლიკური ეკლესიის დღეობა
- 7** ოქტომბერი - სავარდის ღვთისმშობელი, რაბათის  
ეკლესიის დღეობა
- 9** ოქტომბერი - მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება  
(+1892)
- 18** ოქტომბერი - წმ. ლუკა მახარებლის დღესასწაული
- 22** ოქტომბერი - მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი  
მისიებისათვის
- 24** ოქტომბერი - ნ. ჟუზეპე ბალდო, წმ. იოსების მცირე  
ასულთა დამაარსებელი
- 25** ოქტომბერი - მ. გაბრიელ ასლანიშვილის გახსენება  
(+1930)
- 28** ოქტომბერი - წმ. სიმონ და წმ. იუდა მოციქულთა  
დღესასწაული, სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

# რედაქტორის გვერდი

## მცხესოვანი, რომ...

გახსენება, ერთი შეხედვით, უმარტივესი რამა, მაგრამ ასე როდია, განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, სადაც ყველაფერი „გადარბენით“ კეთდება. მიუხედავად ამისა, ადამიანური გამოცდილების ყველაზე დამახასიათებელ ფაქტორებს შორის ვხვდებით გახსენებას იმ რეალობისა, რომელიც განიცადა ადამიანმა და რომლის „ნარმოდგენასა“ და „ინტერპრეტირებას“ იგი, მთელი თავისი მნიშვნელობით, ცნობიერებისა და თავისუფლების გზით ახდენს.


ადამიანური ცნობიერების განვითარება ყოველთვის კავშირშია ყოფიერებასა და ტრანსფორმაციას, წარსულსა და მომავალს შორის დიალექტიკასთან და ამ დიალექტიკურ პროცესში მეხსიერება არსებით ფუნქციას ასრულებს, რამდენადაც იგი წარმოადგენს ადამიანის განვითარების საფუძველს მომავლისათვის და მნიშვნელოვან „სასიცოცხლო მოვლენასა“ და იმედს. ყოველდღიური გამოცდილება გვასწავლის მოგონებების ფსიქოლო-

### მამა გაბრიელე პრაგბანტინი CSS

სტიგმელი;  
ეპისკოპოსის ვიკარიუსი  
ეკუმენიზმისა და კულტურის  
დარგში; ქუთაისის,  
გათვალისა და ოზურგეთის  
საკრებულოთა წინამდლარი



გიურ და ეგზისტენციალურ მნიშვნელობას, რომლებიც ჩვენში აღიბეჭდება ავად თუ კარგად. ცნობილია, რომ ადამიანი ფლობს უსიამოვნო მოგონებების გონებიდან წაშლის უნარს და სასიამოვნო გამოცდილებების გაძლიერებას ცნობიერი და არაცნობიერი მექანიზმებით: სახეები, მნიშვნელოვანი პიროვნებები, ადგილები ადამიანის გულსა და გონებაში „ძირფას განძად“ ინახება, განცდილი ემოციები, ნაცნობი გარემოებები, ცხოვრებისეუ-



# რედაქტორის გვერდი

ლი სიხარული და ტკივილი, თითქმის წამიერი, როგორც ახალი სასწაული: ესოდენ ჭეშმარიტი და ესოდენ რეალური!

ეს მოგონებები გვეხმარებიან საკუთარი თავის, საკუთარი უნარებისა და უმწეობის შეცნობაში. მეხსიერება ადამიანისთვის ხდება ჰორიზონტი იმის მისახვედრად, რომ, როგორც მარტინ პატიდეგერი იტყოდა, ის „გადასროლილია სამყაროში“, სადაც ტრანსფორმაცია უფრო მეტად იძენს ავთენტურობას. თუკი ისტორია „ცხოვრების მასწავლებელია“, ისტორიული მეხსიერების დაკარგვა ინდივიდის ან საზოგადოების მხრიდან ნიშნავს საკუთარი იდენტობისა და ავთენტური ურთიერთობების დამყარების უნარის დაკარგვის რისკს. მეხსიერების პროცესი აუცილებელია ადამიანის სრული მომწიფების თვალსაზრისით. მეხსიერების მობილიზების გარეშე ადამიანი მარად მოზარდად და უმწიფრად რჩება. ეს რამდენიმე მოსაზრება მხოლოდ იმის სათქმელად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის გახსენება; ხოლო თუ რწმენის გამოცდილებას დავეყრდნობით, მივხვდებით, რომ რწმენა ემყარება მეხსიერებას, ანუ იმის გახსენებას, თუ რამდენად დაუღალავად მოქმედებდა ღმერთი კაცობრიობის ისტორიაში და რა გააკეთა ჩვენთვის პირადად და საზოგა-

დოებისათვის; რწმენა რჩება როგორც პასუხი, თუ ის ახსოვთ; ბევრი კარგავს რწმენას მხოლოდ იმიტომ, რომ აღარ ახსოვს, ან არავინ არის, ვინც გახსენებაში დაეხმარება.

ჩვენ, როგორც საქართველოს კათოლიკები, ვგრძნობთ ვალდებულებას, გავიხსენოთ ჩვენი ეკლესიის ისტორიის ბოლო 30 წლის მოვლენები; მაშინ კი შევძახებთ: რამდენი ცვლილებაა! დამოუკიდებლობის პერიოდიდან შევარდნაძემდე, სააკაშვილის პერიოდიდან დღემდე... რა თქმა უნდა, ოცნება არაა; მეორე მხრივ, საერთოდ არ შეცვლილა მართლმადიდებელი ეკლესია, გარდა იმ ფაქტისა, რომ უფრო ძლიერდება ექსკლუზიზმში, რაც ზოგჯერ ირეალურს ხდის მას; და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, „საქართველოს პატარა, საყვარელი სამწყსო“, როგორც რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა 2016 წელს საქართველოში ვიზიტისას, განაგრძობს ცხოვრებას, მოღვაწეობას, რწმენას, სიყვარულს, ზეიმს, იმედს, მოთმინებას, მადლიერებას, მიუხედავად მათი გულგრილობისა, ვინც გულგრილობას არ უნდა იჩენდეს, მათი უმოქმედობისა, ვისაც შეეძლო და მართებდა უკეთესის და უფრო მეტის გაკეთება თავისი ხალხისთვის, მათი სისუსტისა, ვინც ისე წავიდა, რომ არ იცოდა, რა მიატოვა და რისი პოვნა სურდა.



## პერის 43-ე სამოციელო მოგზაურობა



1-4 სექტემბერს უწმიდესი ფრანცისკე მონღოლეთს სტუმრობდა. „მონღოლეთის ახალგაზრდა კათოლიკე თემს სიხარულით შეაქვს თავისი წვლილი ქვეყნის განვითარებაში, თანადგომის, პატივისცემისა და რელიგითა შორის დიალოგის კულტურას ავრცელებს, სამართლიანობისკენ, მშვიდობისკენ და სოციალური ჰარმონიისკენ მიიღწვის. ადგილობრივ კათოლიკეებს არაერთი ინიციატივა ეკუთვნის განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის სფეროებში“, - აღნიშნავ პონტიფეცების დედაქალაქის მთავარ მოედანზე გამართული მისასალმებელი ცერემონიის მსვლელობისას.

3 სექტემბერს უწმიდესმა მამამ სიტყვით მიმართა საერთაშორისო ეკუმენური შეხვედრის მონაწილეებს: „რელიგიურ ლიდერთა ეს შეხვედრა მონმობს, რომ მრავალფეროვან და თვითმყოფად რელიგიურ ტრადიციებში არსებული პოტენციალი საზოგადოების სიკეთისკენ იქნება მიმართული. თუკი სახელმწიფოთა მეთაურებიც აირჩევენ შეხვედრისა და დიალოგის გზას, გადამწყვეტ წვლილს შეიტანენ კონფლიქტების შეწყვეტაში. ჩვენ კი საქმით უნდა დავადასტუროთ ის, რასაც ვასნავლით. ყოველმა აღმსარებლობამ პატივი უნდა სცეს სხვათა რწმენას და მიზნად საყოველთაო სიკეთე დაისახოს“.

ულან-ბატორის ყინულის სასახლეში გამართულ წირვას ორი ათასი ადამიანი დაესწრო. „თქვენი ერისთვის ჩვეული რამაა მომთაბარეობის სილამაზეც და სიმძიმეც. სინამდვილეში ჩვენ ყველანი „ლვთის მომთაბარეები“, ბედნიერების მაძიებელი მომლოცველები და სიყვარულს მოწყურებული მოგზაურები ვართ. სწორედ ეს წყურვილი გვიცხადებს ცოცხალ ღმერთს, ღმერთს, რომელიც სიყვარულია, რომელიც მკლავებს გვიშლის, რათა

მისი შვილები გავხდეთ, ერთმანეთისთვის კი - დაძმა“, - აღნიშნა თავის ქადაგებაში ფრანცისკემ.

4 სექტემბერს უწმიდესმა ფრანცისკემ საზეიმოდ გახსნა „გულმოწყალების სახლი“. „რათქმა უნდა, ქველმოქმედება პროფესიონალიზმს მოითხოვს, მაგრამ ის ბიზნესად არ უნდა იქცეს. ეს გულმოწყალების საქმეა, სივრცეა, სადაც გასაჭირში მყოფი თანაგრძნობასა და დახმარებას პოვებს“, - მიმართა პაპმა პროექტის განმახორციელებელი საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

## ისრაელის პრეზიდენტის პათოლიკურ მონასტერზე თავდასხმა დამმო

ისრაელის ექსტრემისტული დაჯგუფების წევრები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ჰაიფას წმიდა მარიამის კარმელელთა მონასტერს და კათოლიკურ ტაძარს. დაჯგუფების წევრების განცხადებით, მონასტრის ტერიტორიაზე ელისე წინასწარმეტყველის საფლავი მდებარეობს. თუმცა მონასტრის მკვიდრნი ამტკიცებენ, რომ სამარხში მხოლოდ მღვდლებისა და ბერების წეშტები ასვენია.

ქვეყნის პრეზიდენტი ისააკ ჰერცოგი პირადად ეწვია ჰაიფას კათოლიკურ მონასტერს, რათა მის მკვიდრთათვის თანადგომა გამოეხატა. „აქ იმიტომ მოვედი, რომ ისრაელის ხალხის სახელით კიდევ ერთხელ განვაცხადო: ჩვენს სახელმწიფოში რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება ხელშეუვალია. აქ, წმინდა მინაზე, ჩვენს დება და ძმებზე, ქრისტიანებზე, თავდასხმების მოწმენი გავხდით. ეს დაუშვებელია და ამგვარი ინციდენტები უნდა აღმოიფხვრას. მადლობას ვუხდი ისრაელის სამართალდამცავ ორგანოებს დროული და ეფექტური რეაგირებისათვის“.



# პათოლიკური ეკლესია მსოფლიოში რუსულან ავალიგვილი

## რა უტერა პეპებ რუსეთის ახალგაზრდა პათოლიკულს?



25 აგვისტოს პაპმა რუსეთის კათოლიკე ახალგაზრდობის მე-10 შეხვედრის მონაწილეებს მიმართა. მისმა სიტყვებმა მსოფლიო მასმედიის საშუალებებში დიდი ხმაური გამოიწვია. უნიდესმა ფრანცისკემ კი შემდეგი რამ თქვე: „ნურასდროს დაივინყებთ თქვენს მემკვიდრეობას. თქვენ დიდი რუსეთის მემკვიდრეები ხართ - წმიდანთა, მმართველთა, პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის რუსეთის, დიდი კულტურისა და ადამიანობის მქონე ქვეყნის მემკვიდრეები. ნურასდროს იტყვით უარს დიადიდედა რუსეთის მემკვიდრეობაზე“. ატეხილი ხმაურის პასუხად წმიდა საყდრის პრესსამსახურის დირექტორმა მატეო ბრუნიმ საგანგებო განცხადება გააკეთა: „თავის მისასალმებელ სიტყვაში პაპმა გაამხნევა ახალგაზრდები და მოუწოდა მათ, შეინარჩუნონ და განავითარონ ის, რაც დადებითია რუსეთის კულტურულ და სულიერ მემკვიდრეობაში. რა თქმა უნდა, პაპის მიზანი იმპერიალიზმისა და იმპერიალისტი მმართველებისთვის ხოტბის შესხმა არ ყოფილა“. მონლოლეთში სამოციქულო ვიზიტის დასასრულს, თვითმფრინავის ბორტზე უურნალისტებთან ტრადიციული საუბრისას, თავად პაპმაც განმარტა, რომ დიდ რუსეთზე საუბრისას გეოგრაფია კი არა, კულტურა იგულისხმა. „მე ვუთხარი რუსეთის ახალგაზრდებს, რომ თავიანთი მემკვიდრეობის შენარჩუნება მართებთ. რუსეთის კულტურა ხომ ძალზე მშვენიერი და ღრმაა. ნუ გავაუქმებთ მას პოლიტიკური პრობლემების გამო. რუსეთში იყო ბნელი წლები, მაგრამ მემკვიდრეობა ხომ არსად გამერალა. თქვენ იმპერიალიზმზე მკითხეთ. რა თქმა უნდა, იმპერიალიზმი არ მიგულისხმია. კულტურა არასდროსაა იმპერიალისტური. მართალია, იმპერიალიზმს იდეოლოგიის თავსმოხვევა სჩვევია. იდეოლოგიად გარდაქმნილი კულტურა კი შეამია. მე ის ვუთხარი რუსეთის ახალგაზრდებს, რასაც ყველან ვამბობ: რომ მათ თავიანთი მემკვიდრეობის შენარჩუნება მართებთ“, - განმარტა პონტიფექსმა.

მას შემდეგ, რაც უკრაინამ რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო, უნიდესმა ფრანცისკემ არაერთხელ გამოხატა თავისი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება როგორც ომის და აგრესორის, ისე დაზარალებული მხარის მიმართ. ასე მაგალითად, 6 სექტემბერს, ბერძნული წესის კათოლიკე ეკლესიის მღვდელმთავრებთან შეხვედრისას პაპმა რუსეთუკრაინის ომს „ეშმაკის საქმე“ უწოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურ საქმეთა ინსტიტუტი გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველის, მისაილო პოდოლიაკის ინტერვიუს, რომელიც მან ტელეარხ „24 საათს“ მისცა. პოდოლიაკმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია ვატიკანის ბანკში ინვესტიციებს ახორციელებს. ინსტიტუტმა გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „გარდა იმისა, რომ ეს ჭეშმარიტებას არ შეესაბამება, ამგვარი რამ უბრალოდ შეუძლებელია. ჯერ ერთი, რელიგიურ საქმეთა ინსტიტუტის კლიენტი ვერ გახდება ინსტიტუცია ან ფიზიკური პირი, რომელსაც არ აქვს მჭიდრო კავშირი წმიდა საყდართან და კათოლიკე ეკლესიასთან. მეორე: ინსტიტუტი წარმოადგენს ფინანსურ შუამაგალს, რომელიც მეთვალყურეობას ექვემდებარება და თანამშრომლობს უზადო რეპუტაციის მქონე ბანკებთან, რომლებიც სანქციებს იცავენ“.

## 46 წლის ასაკში მიღებული პათოლიკობა

12 სექტემბერი განსაკუთრებულ დღედ იქცა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდისთვის, რონალდო ლუს ნაზარიო დე ლიმასთვის, რომელიც ასევე „ფენომენოს“ მეტსახელითაა ცნობილი. „ბავშვობიდანვე რწმენა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, თუმცა მონათლული არ ვიყავი. ახლა, ნათლისღებისა და ზიარების მერე, ვგრძნობ, რომ ხელახლა ვიშვი, როგორც ღვთის შვილი“, - დაწერა რონალდომ თავის Instagram გვერდზე 12 სექტემბერს.



# ჩვენი ეკლესია ცუგზარ გარდავილიძე



მიმდინარე წელი განსაკუთრებულად გამორჩეულია სრულიად საქართველოს კათოლიკე მრევლისთვის, წელს საზეიმოდ აღმინიშნება სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის დაარსების 30-ე წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციონის, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს გადაწყვეტილებით, 9 სექტემბერს წეროვანის სულიერების სავანეში შედგა ამ ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სინოდური კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოში მოქმედი ლათინური წესის ყველა საკრებულოს წინამდღვრები, სამრევლო საბჭოებიდან არჩეული დელეგატები, ასევე, სამხრეთ კავკასიაში მოქმედი კათოლიკური ბერმონაზვნური ორდენებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების, მედია სამუალებებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების წარმომადგენლები. საზეიმო შეხვედრაში საპატიო სტუმრის რანგში მონაწილეობდა მისი აღმატებულება, წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში, არქიეპისკოპოსი უოზე აველინო ბეტენკური, ასევე, სომხეთში კამილიელთა ორდენის სამედიცინო ცენტრის წარმომადგენლები.

საზეიმო სინოდური კრება დაიწყო საგანგებოდ ამ შეკრებისათვის შედგენილი მსახურებით, რომელიც მოიცავდა შესავალ ლოცვას და შერჩეულ საკითხავებს წმიდა წიგნიდან. საკითხავების შემდგომ კრების მონაწილეებს ჰომილით მიმართა

მისმა ყოვლადმალუსამლვდელოესობამ, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ, შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა მისი უმაღლესობა, მეუფე უოზე აველინო ბეტენკური. მაღალმა იერარქებმა თავიანთ ქადაგებაში ხაზი გაუსვეს კავკასიაში კათოლიკური სამოციქულო ადმინისტრაციის შექმნისა და სამი ათწლეულის მანძილზე ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის მნიშვნელობას, რამაც განსაზღვრა რეგიონში კათოლიკე ეკლესიის როლის ზრდა და მორწმუნეთა საკრებულოების აღორძინება, ლათინური წესის მღვდელმსახურთა პასტორალური მოღვაწეობა, რომლის შედეგიც ერთი თვალის გადავლებითაც მეტად თვალსაჩინოა. ლათინურ წესთან ერთად, საქართველოში თავისუფალი მსახურებისა და ინსტიტუციონალური აღორძინების სრული შესაძლებლობა მიეცათ აღმოსავლურ კათოლიკურ ეკლესიებსაც (სომეხთა კათოლიკური და ასირიულ-ქალდეური ეკლესიები), რომელთა მრავალრიცხვანი მრევლი, საბჭოთა რეჟიმის მიერ ათწლეულების მანძილზე აკრძალვის გამო, ლათინური წესის მსახურებას ესწრებოდა, თუმცა მათვის ლათინი მღვდელმსახურები სომხურ და ასირიულ ენებზეც ატარებდნენ მსახურებას, რაც უნიკალური მოვლენა გახლდათ აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.

მართლაც, გასულ საუკუნეში მოქმედი მრავალრიცხვანი, მაგრამ ერთი სამრევლოს (თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარი) მემკვიდრედ დღეს მთელ კავკასიაში მოქმედი სამ

# ჩვენი ეკლესია ცეკვის პარდაველიძე



ათეულზე მეტი ლათინური წესის საკრებულოა, მათ შორის ისეთიც, რომელიც გასულ საუკუნეში არც არსებობდა. აიგო და განახლდა ახალი ტაძრები, რეგიონში სამოღვაწეოდ ჩამოვიდნენ ბერმონაზვნურ ორდენთა მისიები, ფართო ასპარეზი გაეხსნა კათოლიკურ საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საქმიანობას. ბოლო 25 წლის მანძილზე კი კავკასიის რეგიონი და საქართველო ორჯერ მასპინძლობდა რომის პაპებს. 1999 წელს პაპ იოანე პავლე II-ის ვიზიტი თბილისში რჩება ისტორიულ მოვლენად, როგორც ყოფილ საპჭოთა კავშირის მასშტაბით რომის პაპის პირველი სტუმრობა.

საზემო მისალმებების შემდგომ, საქართველოში არსებულმა სამივე ლათინური წესის სადეკანოების წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს სადეკანოების მასშტაბით სამი ათწლეულის მანძილზე გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობის შეჯამება. საქართველოს ცენტრალური სადეკანოს სახელით, წარდგინება გააკეთა თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკრებულოს სამრევლო საპჭოს წევრმა, ქალბატონმა თინა კოკოჩაშვილმა. მისი მოხსენება იმდენად სრული და ამომწურავი გახლდათ, რომ, ფაქტობრივად, მთელი სამოციქულო ადმინისტრაციისა და საეპისკოპოსო კურიის შემაჯამებელ ანგარიშადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა არც არის გასაკვირი, რადგან მარიამის ზეცად აღყვანების საკრებულო ხომ საკათედრო ტაძარს განასახიერებს და მისი წევრები

სამოციქულო ადმინისტრაციის ყველა წამოწყებაში სხვადასხვა ფორმით აქტიურად არიან ჩართულები. საქართველოში სამოციქულო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობები ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის ნომრების ჩანართებში უფრო ვრცლად და დეტალურად არის წარმოდგენილი.

სადეკანოების წარმომადგენელთა მოხსენებების შემდგომ ყველა მსურველს, დროითი რეგლამენტის დაცვით, მიეცა შესაძლებლობა, რომ საჯაროდ გამოეხატა საკუთარი მოსაზრებები, მადლიერება და სურვილები. მრავალ გამომსვლელთა შორის, განსაკუთრებით გამოყოფთ მამა გაბრიელე ბრაგანტინისა და მამა მიხეილ სურმავას გამოსვლებს, მათ ერთგვარად შეავსეს ის დეფიციტი, რაც სხვა მომსახურებელთა გამოსვლებში უნდა გაიპარა, კერძოდ კი, სამოციქულო ადმინისტრაციის მიერ გაწეულ საქმიანობასა და შედეგების შეფასებაში რატომლაც ყველას გამორჩა ჟურნალი „საბა“, ერთადერთი ბეჭდური ორგანო, რომელსაც სამოციქულო ადმინისტრაცია გამოსცემს მისი დაარსების პირველი წლიდანვე (თავდაპირველად 1993 წელს გამოიცემოდა სახელწოდებით „საქართველოს კათოლიკე“, 1994 წლიდან ენოდა „საბა“). ჟურნალი „საბა“ წარმოადგენს ჩვენი ეკლესიის მემატიანეს, რომლის მიმართ ინტერესსაც იჩენს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიითა და დღევანდელობით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველი. „საბა“ გახლავთ თანამედროვე

# ჩვენი ეკლესია ცეზარ პარდაველიძე

ევროპული დონის ბეჭდური გამოცემა, როგორც შინაარსობრივად, ასევე პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც, რომელიც, ორი წლის წინ, საქართველოს სახალხო დამცველმა და რელიგიათა საბჭომ საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის ტოლერანტობის ქომაგის წოდებით დააჯილდოვა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ წოდებით დააჯილდოვდა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიც, რომელიც ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, ეს ჯილდო რომ დაიმსახურა.. მიმდინარე წელს კი, იგი სამხრეთ კავკასიის 50 საუკეთესო სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტის რეიტინგში მოხვდა, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან ერთად.

ეს აღიარებები, იმ მრავალ სასიკეთო აქტივობასთან ერთად, რომელიც ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციისა და მასთან აფილირებული ორგანიზაციების მიერ 30 წლის მანძილზე საერთო ძალისხმევით განხორციელდა, წარმოადგენს საერთო სურათს საქართველოს კათოლიკე ეკლესიის უახლეს ისტორიაში.

დაბოლოს, ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციამ თავისი არსებობის 30 წლის მანძილზე მართლაც უდიდესი საქმიანობა გასწია, შეძლო აელორძინებინა გასული საუკუნის ანტირელიგიური რეპრესიებით თითქმის განადგურებული ეკლესია. მართლაც, ინსტიტუციურად კათოლიკე ეკლესია ასეთი ძლიერი არასდროს ყოფილა, თუმცა შემცირდა მორწმუნეთა რაოდენობა, მაგრამ, ქვეყანაში არსებული მიგრაციული ვითარების გამო საერთო კლების ფონზე, კათოლიკეთა რაოდენობის კლება სრულიად კანონზომიერია და, პროცენტული თვალსაზრისით, სხვა დენომინაციებს ჩამორჩება კიდეც.

ფაქტობრივად, ეს სამი ათწლეული უნდა განვიხილოთ, როგორც საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მთელი ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი, ჩამომყალიბებელი ეტაპი, რომელმაც საფუძველი მოუმზადა დიდ ისტორიულ კანონზომიერებას, რომ სანგრძლივი იძულებითი წყვეტის შემდგომ კვლავ აღდგეს საქართ-

ველში ლათინური წესის ეპარქია, რომელიც თბილისში 1329 წელს დაფუძნდა რომის პაპ იოანე XII-ისა და საქართველოს მეფე გიორგი IV ბრწყინვალის ერთობლივი ნებითა და იმჟამინდელი რეალობის გათვალისწინებით. ეს იქნება საქართველოს კათოლიკე მრევლის, ზოგადად, საზოგადოებისა და ადგილობრივი ლათინური წესის ეკლესიის უახლესი სამომავლო მიზანი, სურვილი და ისტორიული კანონზომიერებაც. ამ პროცესების განვითორებას კი ჩვენი უურნალი სისტემატურად დაუთმობს ადგილს, იმ ინტერესების გათვალისწინებით, რაც ამ მოვლენის საეკლესიო-სამართლებრივ აღსრულებას ახლავს თან.

საზეიმო სინოდური კრება კი დასრულდა ასევე საზეიმოდ და იმედიანად, უმაღლეს მღვდელმთავართა მიერ სამახსოვრო ტორტის დაჭრით, დიდი ხნის უნახავ მღვდელმსახურთა და მორწმუნეთა გულითადი მოკითხვებით, სრულიად საკრებულოებისადმი კეთილი სურვილებით, ღვთის სიყვარულისა და ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის გაბრწყინების რწმენით.



## შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე



საქართველოს ადგილობრივ კათოლიკე ეკლესიას კიდევ ერთი ახალი მღვდელმსახური შეემატა, შაბათს, 2 სექტემბერს, მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში სამხრეთ კავკასიაში ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორმა, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ ხელი დაასხა დიაკონ კონსტანტინე აკოფაშვილს. საზეიმო მსახურებაში მონაწილეობდა მისი აღმატებულება, წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში, არქიეპისკოპოსი უოზე აველინო ბეტენჯური, ასევე, საქართველოში მოღვაწე კათოლიკე სასულიერო პირები, მღვდლები და მონაზვები, სტუმრები რომიდან: მამა სალვატორე ლუკეზი, მამა ერიკ ტუმიბაი და სემინარისტი როზარიო ჯანონე; მორწმუნენი საქართველოს თითქმის ყველა კათოლიკური საკრებულოდან, დიაკონ კონსტანტინეს ოჯახის წევრები, მეგობრები. მამა კონსტანტინემ, ხელდასხმის შემდგომ, თავის პირველ სამადლობელო გამოსვლაში, ღვთისმშობელთან ერთად, მადლობა გადაუხადა თავის დედას და მას ვარდების თაიგული მიუძღვნა.

მამა კონსტანტინეს მღვდლობის სურვილი ადრეული ასაკიდან, ჯერ კიდევ ვალეში ცხოვრების დროს, გაუჩნდა, სასულიერო სემინარიაშიც ჩააბარა. ამ ათიოდე წლის წინ ყაზახეთში, ყარაგანდის სასულიერო სემინარიაშიც წნავლობდა და საკმაონომატებითაც, მისი სემინარიელი თანაკურსელები დღეს უკვე მღვდლები არიან. სწორედ ამ დროს მამა კონსტანტინეს ცხოვრებაში გაჩნდა ერთი საკმაოდ კანონზომიერი კითხვა საკუთარი თავისადმი, კერძოდ კი, სემინარიაში სწავლის დროს დაფიქრდა თავის სულიერ მონიდებაზე და გადაწყვიტა, რომ მას, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდას, უფრო მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება, ცოდნა და უნარები სჭირდებოდა, ვიდრე სამუდამოდ დაუკავშირდებდა თავის ცხოვრებას ღვთისადმი მსახურებას და მორწმუნეთა სულიერ მოძღვრობას ითავებდა. ახ-

ალგაზრდა სემინარისტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, დროებით შეაჩერა სემინარიაში სწავლა და თვითჩაღმავებით, საკუთარ თავთან სისტემატური მუშაობით შეეცადა პრაქტიკული ცხოვრებისეული გამოცდილების მიღებას. მართლაც, მამა კონსტანტინე მთელი ეს წლები საქმიანობდა კურიაში, სულბან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში იმაღლებდა თეორიულ ცოდნას, სასულიერო პირებთან უშუალო ურთიერთობით და მსახურებაში სისტემატური ჩართულობით იღრმავებდა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მსახურების გამოცდილებას, ხელმძღვანელობდა საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრს, ახორციელებდა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს, გარკვეული დროით ცხოვრობდა ქუთაისში, წმ. სტიგმელ მამათა კონგრეგაციის მისიაში, თანამშრომლობდა უურნალ „საბასთან“; ერთი სიტყვით, როგორც ერისკაცი, აქტიურად იყო ჩართული საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებაში. გასულ წელს მეუფე ჯუზეპემ კონსტანტინე აკოფაშვილი სწავლის დასასრულებლად მიავლინა რომში, სადაც სწავლასა და პრაქტიკულ საქმიანობას უხამებენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული კათოლიკე ეკლესიის მსახურები. ამავე პერიოდში იგი დიაკვნად იქნა ხელდასხმული, რაც აუცილებელი საფეხურია მღვდლობის საიდუმლოსთვის. იგი ლისაბონში კათოლიკე ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმშიც მონაწილეობდა, როგორც საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდობის დელეგაციის წევრი და პაპის კურთხევაც მიიღო.

ხელდასხმის შემდგომ მამა კოტე ერთი წლით რომში უნდა გაემგზავროს სწავლის დასასრულებლად, ამასობაში იგი კიდევ უფრო აიმაღლებს თეორიულ ცოდნას და დახვეწს სასულიერო პირისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებსაც. ასე რომ, ეს წლები სრულიადაც არ არის უქმად გაცდენილი, მღვდლობა შეჯიბრი როდია ფინიშთან პირველი მისასვლელად. ადამიანმა, რომელმაც ღვთის გზა აირჩია, იცის და სწავლა, რომ უანგარო მსახურების, სწავლის, საკუთარი რწმენის, ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მუდმივი გამოცდის წინაშეა. ამ გზაზე კი მოთმინება ყველაზე კარგი მრჩეველია.

ხელდასხმის შემდგომ მღვდელი კონსტანტინე აკოფაშვილი, ტრადიციის თანახმად, საქართველოში მოქმედ ლათინური წესის ყველა კათოლიკურ საკრებულოს ესტუმრება და წმ. წირვებს აღავლენს. პირველი წირვა კი ახლად ხელდასხმულმა მღვდელმა თავის მშობლიურ, ვალეს ღვთისმშობლის შობის ტაძარში აღავლინა და საზეიმო სინოდურ კრებაშიც მიიღო მონაწილეობა.

უურნალ „საბას“ სახელით, გულნრფელად ვულო-ცავთ მამა კონსტანტინეს მღვდლად კურთხევას.

## სამაძრო მშენებლობის აღორძინება



### ახალციხის რაბათის სამონასტრო კომპლექსი

სამცხე-ჯავახეთსა და, კონკრეტულად, ქალაქ ახალციხეს, საქართველოში კათოლიკობის გავრცელების თვალსაზრისით, გამორჩეული ადგილი უკავია. XVII - XVIII საუკუნეებში ახალციხეში, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ გამორჩეულ საფაშოს ცენტრს წარმოადგებდა, კათოლიკობა საფუძვლიანად იყიდებს ფეხს. ამავე ეპოქაში მრავალი კათოლიკური ტაძარი აიგო. XVIII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, პოლიტიკური მოსაზრებით, თბილისიდან განდევნილი კაპუცინი მამები, აღვსილები ქართლში მალე დაპრუნების იმედით, სწორედ ახალციხეში მოქმედ მისიაში დამკვიდრდნენ. ორიოდე წელში ერეკლე მეორის დიდი თხოვნით კაპუცინები კვლავ მოიწვიეს. კაპუცინთა მისიები პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე მოქმედებდნენ ოსმალეთის, ტაო-კლარჯეთისა

და შავიზღვისპირეთის ქალაქებში, სადაც მათ მრევლს ადგილობრივი ქართველები და სომხები შეადგენდნენ. სამცხე-ჯავახეთის შემორთების შემდგომ კათოლიკები საქართველოს სხვა რეგიონებშიც განსახლდნენ, თუმცა მათი ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლებად მაინც ახალციხე რჩებოდა. ქალაქში რამდენიმე კათოლიკური ტაძარი მოქმედებდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში კათოლიკური ტაძრები დაკეტეს, ბერ-მონაზვნები კანონგარეშე გამოაცხადეს. ათწლეულების მანძილზე კათოლიკე მრევლის წევრები იძულებული იყვნენ თბილისში მოქმედ წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში ჩამოსულიყვნენ რელიგიურ რიტუალებზე დასასწრებად. სამოციქულო ადმინისტრაცია თავისი საქმიანობის დაწყების პირველი დღეებიდანვე აქტიურად ცდილობდა ახალციხეში კათოლიკური ტაძრის ან თუნდაც სამლოცველო სახ-

ლის აგებას, ამისათვის ქალაქის ცენტრში მიწის ნაკვეთი იქნა შეძენილი, თუმცა ადგილობრივი ადმინისტრაცია ყოველნაირი კანონიერი თუ უკანონო გზებით ცდილობდა, ხელი შეეშალა კათოლიკური ტაძრის ამოქმედებისათვის. მხოლოდ ამ საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს, როდესაც დაიწყო ახალციხის ციტადელის (რაბათი) გენერალური რესტავრაცია, ამ პროცესის დროს კი მიმდებარე უნის აღდგენა გადაწყდა, ოფიციალურმა სტრუქტურებმა სამოციქულო ადმინისტრაციას გადასცეს ქალაქის ძველ უბანში არსებული ყოფილი კათოლიკური სამონასტრო კომპლექსი, თან იმ აღთქმით, რომ კათოლიკები უარს იტყოდნენ, ქალაქის ცენტრში არსებულ მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე აეგოთ ახალი ტაძარი.

რაბათის კათოლიკური სამონასტრო კომპლექსისაგან მხოლოდ კედლები იყო დარჩენილი

# საგანგებო ჩანართი

და არანაირი არქიტექტურული დეტალური ნახაზები არ არსებობდა, ასე რომ, სამოციქულო ადმინისტრაციას არქიტექტურული გადაწყვეტის მეტი თავისუფალი არჩევანი გააჩნდა, ცხადია, საერთო ტიპური ხუროთმოძღვრული კონცეფციის ფარგლებში, რომლის დაცვაც კათოლიკური ეკლესის ამოცანაც გახლდათ; ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო თავისი მონახაზით ითხოვდა ძეგლის აღდგენას. ეს მოთხოვნა უალტერნატივ იყო. ამ დამტკიცებული ნახაზის მიხედვით, ძეგლი კარგავდა კათოლიკური სატაძრო არქიტექტურისათვის დამახასიათებელ გარეგნულ ნიშნებს და მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრების იერსახეს იძნდა. გარდა ამისა, თავდაპირველ პროპორციებში ვერ გათვალეს ტაძრის გუმბათის ყელის სიმაღლე. ასე რომ, ტაძრის გუმბათმა აშკარად მართლმადიდებლური გუმბათის ფორმები შეიძინა და დამატებით, ტაძრის საერთო პროპორციებთან შედარებით, შეუსაბამოდ დაბალი გამოჩნდა. გუმბათის ყელისა და მთელი ნაგებობის ეს შეუსაბამობა ახლო მანძილიდან იმდენად



შესამჩნევი არ იყო, რამდენადაც თვალსაჩინო თავად ახალციხის სხვადასხვა, შედარებით დაშორებული, მანძილიდან. რაბათის კათოლიკური ტაძარი მთელი ქალაქის დომინანტი ნაგებობას წარმოადგენს, იგი უფრო მაღალ რელიეფზეა აგებული, ვიდრე მთავარი ციხესიმაგრის კომპლექსი და ახალციხისკენ მიმავალი მგზავრები ბევრად შორიდან და უკეთ აღიქვამენ მის არქიტექტურულ ფორმებს. გუმბათის ყელის დაბალი პროპორციაც შორი მანძილიდან უფრო თვალშისაცემია. სამწესაროდ, დეტალი ტაძრის დასრულების შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდა, მაგრამ გამოსწორება გვიან იყო. აი, ამგვარი არქიტექტურული ლაფუსი გაიპარა, როდესაც არ გაითვალისწინეს სამოციქულო ადმინისტრაციის თვალთახედვა ტაძრის რესტავრაციის პროცესში.

რაბათის ტაძარმა, სამოციქულო ადმინისტრატორის მუდმივი ზრუნვის წყალობით, მეტად მნიშვნელოვანი სულიერი ფუნქცია იკისრა, როდესაც მეუფეჯუზეპეს ძალისხმევით ტაძართან სამონასტრო კომპლექსიც აიგო და იქ ბენედიქტელ დედათა ორდენი დაფუძნდა. ამგვარად, ახალციხის მონასტერი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ მთავარ ადგილობრივი მომლოცველობის კერად იქცა.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ტაძრის შიდა სივრცის მოხატულობა, რომლის ინიციატორი პირადად სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფეჯუზეპე გახლავთ. მან ტაძრის ინტერიერის მოხატვისათვის სპეციალურად ლათინური ამერიკიდან მოიწვია მხატვარი ანა ტეფელი და 2022 წლის ბოლოსათვის ახალციხის ტაძრის მოხატულობა უკვე დასრულებული გახლდათ. ამ კედლის მხატვრობასთან დაკავშირებით,



უნდა აღინიშნოს, რომ მას მთელ კავკასიაში და ალბათ პოსტსაბჭოთა სივრცეში ანალოგი არ გააჩნია. სრულიად განსხვავებული და ორგინალურია ტაძრის მოხატულობის ფორმები, კოლორიტი, კომპოზიციური აგებულება და თემატიკა, რომლის საერთო იდეური დატვირთვა კათოლიკობის ტრიუმფი და კათოლიკობა საქართველოში, ხოლო საერთო კომპოზიციის გამართიანებელია წმიდა ღვთისმშობელი. ყოველი კედლისა და თაღის დამამშვენებელ კომპოზიციად გვევლინება ღვთისმშობელი სხვადასხვა სასნაულებრივი გამოცხადებით, როგორიცაა ჩენსტოხოვას, გვადალუპეს, ლურდის, ფატიმას და სხვა ცნობილი ხატ-სახეები. ასე რომ, ღვთისმშობელი კრაკს, აერთიანებს ერთი იდეით მთელი ტაძრის მოხატულობას. ამ ცალკეულ ფრესკებში აღნიშვნას იმსახურებს საკურთხევლის მარცხენა მხარის კომპოზიცია, რომელზეც ღეპანტოს ბრძოლის აპოთეოზია გამოსახული.

ღეპანტოს საზღვაო ბრძოლა 1571 წლის სექტემბერში გაიმართა, სადაც ევროპის კათოლიკური ქვეყნების საღვთო ლიგად

წოდებული კოალიციის გაერთიანებულმა ფლოტმა დაამარცხა ხმელთაშუა ზღვაზე და საბოლოო გაბატონების მოსურნეოსმალეთის იმპერია. ბრძოლაში ორივე მხრიდან დაახლოებით 400 საბრძოლო ხომალდი მონაწილეობდა (სხვათა შორის, ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა მომავალში საქვეყნოდ აღიარებული მწერალი მიგელ სერვანტესი). ოსმალებთან მრავალწლიანი მარცხის შემდეგ ეს იყო პაპ პიუს V-ისა და ევროპელი კათოლიკე მონარქების ერთიანობით მოპოვებული პირველი სერიოზული გამარჯვება. სრულიად მარტივი პოლიტიკური მოსაზრებებით, რუსეთის იმპერიაში, საბჭოთა რეჟიმის დროს და, სამწეაროდ, პოსტსაჭოთა ეპოქაშიც ლეპანტოს ბრძოლა შედარებით მიჩრებულია, რადგან ეს იყო კათოლიკური ერთიანობის ნიშანი, რაც არის ამ ბრძოლის რელიგიურ-სიმბოლური დატვირთვა, ვინაიდან პაპ პიუს V-ის მოწოდებით, კათოლიკეთა გაერთიანებულმა ლაშქარმა თავის მფარველად გამოაცხადა წმიდა ღვთისმშობელი, რომელსაც მუდამ გამარჯვებას ევედრებოდნენ და, მართლაც, უმცირესი მსხვერპლის ფასად, კათოლიკე ერთიანმა ფლოტმა სრული დამარცხება არგუნა ოსმალეთისა და მის მოკავშირეთა ფლოტს. არაერთმა ცნობილმა ევროპელმა მხატვარმა მიუძღვნა თავისი ქმნილება ამ ისტორიულ და რელიგიურ მოვლენას, რამეთუ კათოლიკურ სამყაროში ლეპანტოს ბრძოლა ღვთისმშობლის სასწაულებრივი ძალის გამოვლენის ხილულ ნიშანად აღიმევა.

სამოციქულო ადმინისტრატორის, მეუფე ჯუზეპეს დამსახურებით კი საქართველოს კათოლიკებიც რაბათის ტაძრის ინტერიერის მოხატულობით საერთო კათოლიკური კულტურის კონტექსტში ჩაერთვნენ.

ყურადღება უნდა შევაჩეროთ ასევე მხატვრობის კოლორიტზე, მკვეთრ, ხასხასა ფერებზე. დიდი ხნის მანძილზე მიჩნეული იყო, რომ ფერადოვანი გამა არ უნდა ყოფილიყო მსუსე ფერებით გამორჩეული; მაგალითისათვის მოჰყავდათ აღორძინების ეპოქის კედლის მხატვრობა, რომელიც შედარებით მქრქალი კოლორიტით გამოირჩეოდა. როდესაც გასული საუკუნის 90-იან წლებში იტალიაში მიღენიუმისათვის მზადების დროს მასობრივი რესტავრაციები დაიწყო და ათეულობით ფრესკა და დაზგური მხატვრობის ნიმუში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი მტვრისა და ჭვარტლისაგან გაიწმინდა, აღმოჩნდა, რომ საუკუნეების წინაც ცნობილი მხატვრები საკმაოდ მსუსე ფერებს იყენებდანენ თავიანთი კომპოზიციების შესაქმნელად. ასე რომ, რაბათის ტაძრის კედლის მხატვრობაც საერთო ევროპულ ნორმებში ჯდება. ამგვარად, შეიძლება თვალი მივადევნოთ იმ ესთეტიკურ გამომსახურელობით ცვლილებებს, იმ კულტურულ ეტაპებს, რომლებიც გაიარა ამ სამი ათწლეულის მანძილზე სამოციქულო ადმინისტრაციამ სამხატვრო-შემოქმედით პროცესში.

თუ თავდაპირველად აქცენტი უფრო ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებზე, ხატწერაზე კეთდებოდა და ამას მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია (გავიხსენოთ თუნდაც საკათედრო ტაძრის მრავალრიცხოვანი ხატით შემკობა, ან ადგილობრივი არქიტექტურული ფორმების მიბაძვა ზოგიერთი ტაძრის აგებისას, რაც აღბათ გარკვეული საზოგადოების უნდობლობის დასაძლევად უფრო იყო გამიზნული, ვიდრე მხატვრული გადაწყვეტილებით ნაკარნაზევი), ბოლო ათწლეულში სატაძრო ნაგებობათა რესტავრაციის დროს ვხედავთ თანამედროვე ევროპული, კათოლიკური ესთეტიკისადმი პრიორიტეტის მინიჭებას, რაც თვითმყოფადობასა და განსაკუთრებულობას ანიჭებს საქართველოში კათოლიკურ საკულტო ხელოვნებას.


### არალისა და ვალეს ტაძრების რესტავრაცია

ახალციხის რაბათის სატაძრო კომპლექსის აღდგენის პროცესში, მამა გაბრიელე ბრაგანტინის უშუალო ხელმძღვანელობით, ვალესა და არალის ტაძრებშიც განხორციელდა სარესტავრაციო სამუშაოები. ამ მხრივ,



# საგანგებო ჩანართი

საეტაპო ნიმუშიდ რჩება ვალეს ლვთისმშობლის შობის ტაძრის შიდა სივრცის რესტავრაცია, რაც თანამედროვე ევროპული სარესტავრაციო კონცეფციის, ნორმებისა და გემოვნების გათვალისწინებით განხორციელდა და სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ათ-ნოლეულების მანძილზე არსებულ არქიტექტურულ-დიზაინერულ მოცემულობაში შემოქმედებითი ჩარევა. როდესაც ვალეს ტაძრის განახლებული ინტერიერი მოვინახულე, იტალიის ქალაქ ბარის ადრეულ შუა საუკუნეებში აგებული მთვარი ტაძარი გამახსენდა. რესტავრაციამდე ტაძარი მე-16 საუკუნის ფრესკებით იყო მოხატული. ალბათ მხოლოდ იტალიელებს აქვთ იმის ფუფუნება, რომ თითქმის ხუთასი წლის წინანდელი ფრესკები შელესილობასთან ერთად ჩამოხსნან, რათა მე-11 საუკუნის კედლები მთელი თავისი მონუმენტურობით წარმოაჩინონ. მსგავსი თამამი მიდგომა იკვეთება ვალეს ტაძრის ინტერიერის რესტავრაციის დროს. მამა გაბრიელემ, ბოლო ხანებში იტალიაში აპრობირებული სარესტავრაციო მიდგომის გათვალისწინებით, სრულიად შეცვალა ტაძრის ინტერიერის შელესილობა, მთლიანად გაათავისუფლა ინტერიერის კედლები



შედარებით ახალი პერანგისაგან და ტაძრის კედლების მონუმენტური ქვის ნივბა გამოაჩინა. ამგვარად, სხვა ესთეტიკური სიძველისა და მონუმენტურობის თანხვედრით შექმნილი განწყობა შექმნა, რაც ტაძარში ლიტურგიაზე შეკრებილ მრევლს თუ უბრალო დამთვალიერებელს ისტორიასთან, სიძველესთან თანაზიარების განცდას უნერგავს. ვალეს ტაძრის ინტერიერის რესტავრაცია გახდავთ სამოციქულო ადმინისტრაციის ახალი ესთეტიკური ხედვის სამაგალითო ნიმუში, მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს სიძველესთან სარესტავრაციო მიდგომა, რათა უფრო უკეთ წარმოჩნდეს ადრეული ხუროთმოძღვრების ფორმები. ანალოგიური მიდგომა იგრძნობა სოფელ არალის წმ. იოსების ტაძართან მიმართებაშიც. მამა მიხეილ სურმავას წინამძღვრობის დროს არალში და შემდგომ ვალეშიც გაგრძელდა სატაძრო არქიტექტურისა და მასთან არსებული ნაგებობებისა და ლანდშაფტის გამშვენიერება. მამა მიხეილის ძალისხმევით, ვალეს ტაძრის ფასადი და მიმდებარე ტერიტორია საერთო არქიტექტურულ კონცეფციას დაექვემდებარა. თამამად შეიძლება

ითქვას, რომ ბოლო ათწლეულში ვალესა და არალის კათოლიკური ტაძრები ამ სოფლების დომინანტური არქიტექტურულ ძეგლებად, მხატვრულ იერსახედ ჩამოყალიბდნენ და თუ სტუმარი ეწვევა მესხეთის ამ ორ ისტორიულ სოფელს, მთავარი ღირსშესანიშნაობის მოძიება არ გაუჭირდება. სამოციქულო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ კათოლიკურ მღვდელმსახურთა ძალისხმევით, ვალესა და არალს გააჩინათ გამორჩეული არქიტექტურული ძეგლები. გარდა ესთეტიკური მხარისა, კათოლიკურ ტაძრებთან შექმნილი დამხმარე ნაგებობები და სივრცეები საერთო საგანმანათლებლო ჰუმანიტარულ მისიასაც ასრულებენ; ამგვარად, ამ სატაძრო კომპლექსებს, რელიგიურ-კონფესიურ დატვირთვასთან ერთად, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ფუნქციაც დაეკისრათ. სწორედ ეს გახდავთ სამოციქულო ადმინისტრაციის ახალი ხედვა, საკულტო ნაგებობებისათვის პოლიფუნქციური და მულტიკულტურული დატვირთვის მინიჭება, ზოგად-კონფესიური გახსნილობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა.

მარტინ გარებული იქნება

## 8 სეպტემბერი - უწმიდესი ღვთისმშობლის შობა თემულება დღესასწაულის შესახებ

დღისმშობლის შობის დღესასწაული იქსო ქრისტეს დედის - უწმიდესი ქალწული მარიამის ამქვეყნად შობის ხსოვნას ეძღვნება.

ახალ აღთქმაში მეტად მწირ ცნობებს ვხვდებით მარიამის ცხოვრების შესახებ, 8 სექტემბრის მოვლენა კი მხოლოდ საეკლესიო ტრადიციაშია მოცემული. უძველესი გადმოცემის მიხედვით, ქალწულ მარიამის მშობლები ღვთისმოსავები იყვნენ, იოაკიმე მეფე და ვითის ოჯახის შთამომავალი იყო, ხოლო ანა - მღვდელმთავარ აარონის ოჯახიდან. ქალწული მარიამი იოაკიმესა და ანას უკვე სიბერეში შეეძინათ, მათ ზემოდან მიიღეს განსაკუთრებული აღთქმა. სახელი „მარიამი“ ბავშვს უნდა ანგელოზმა, რომელმაც მშობლებს მისი შობის შესახებ ამცნო.

უფრო დაწვრილებით თქმულების შინაარსი ასეთია: გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდა მოხუცი ცოლ-ქმარი - იოაკიმე და ანა. ორივე მეუღლე მართალი და ღვთისმოსავი იყო. წმიდა მეუღლები იოაკიმე და ანა დიდი ხნის განმავლობაში უშვილოები იყვნენ და ძალიან წუხდნენ ამის გამო. ერთ დღეს, დიდ დღესასწაულზე, იოაკიმე იერუსალიმში ჩავიდა, რათა უფლისთვის ძღვენი მიერთმია. მაგრამ იერუსალიმის ტაძარში მყოფმა მღვდელმა არ ინდომა იოაკიმეს ძღვენის მიღება, რადგან, როგორც მაშინ მიიჩნეოდა, უშვილო კაცი „ღვთის მიერ უარყოფილი“ იყო.

შინ დარჩენილმა ანამ შეიტყო, რომ მღვდელმა უშვილობის გამო უარი თქვა მათ შემოწირულობაზე და მწუხარებით შეპყრობილი იოაკიმე, სახლში დაბრუნების ნაცვლად, უდაბნოში წავიდა. უნუგეშოდ დარჩენილი ანა ბაღში გავიდა, დაფინის ხის ძირას დაჯდა და მწარედ ატირდა. ცოტა ხნის შემდეგ ცისკენ ალაპყრო ცრემლით სავსე თვალები და ხის კენეროზე შენიშნა ბუდე, რომელშიც უსუსური ბარტყები ისხდნენ. „ჩიტებსაც კი ჰყავთ შვილები, მაგრამ სიბერეში ჩვენ მოკლებული ვართ ამ ნუგეშს“, - გაიფიქრა ანამ. უცებ მის წინაშე უფლის ანგელოზი ნარდგა და უთხრა: „მუცლად-ილებ და შობასულს, კურთხეულს კურთხეულთა შორის, რომლის მეშვეობით იკურთხება ყოველი მინიერი ქმილება. მისი სახელი იქნება მარიამი და მის მიერ იხსნება ყოველი ადამიანი“.

იმავე დროს, იოაკიმესაც გამოეცხადა უდაბნოში ანგელოზი და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „იოაკიმე! ღმერთმა შეისმნა შენი ვედრება და კეთილ-ინება მადლი მოილოს შენზე. შენი ცოლი ანა მუცლად-ილებს და შობასულს, რომელიც ამქვეყნად სიხარულს მოიტანს. აი, შენთვის ნიშანი იმისა, რომ ყველაფერი, რაც ვთქვი, ახდება: ნადი იერუსალიმის ტაძარში და იქ, ოქროს კარიბჭესთან, იხილავ შენს მეუღლეს, ანას, რომელსაც ეს ამბავი ვაუწყე“. გაკვირვებული და ღვთისადმი მადლიერების გრძნობით აღსავსე იოაკიმე, გახარებული, აჩქარებით გაემართა იერუსალიმისაკენ და ტაძრის მთაზე

ავიდა. იქ, როგორც ანგელოზმა აუწყა, იპოვა თავისი ცოლი ანა, ოქროს კარიბჭესთან რომ ლოცულობდა, და მაშინვე უამბო ანგელოზის გამოცხადების შესახებ. ანამაც მოუთხრო ქმარს თავისი ხილვისა და ასულის შობის აღთქმის თაობაზე. ტაძარში უფლის წინაშე ლოცვისა და თაყვანისცემის შემდეგ მეუღლები შინ დაბრუნდნენ.

ცხრა თვის შემდეგ ანამ შვა ქალწული, უწმიდესი და ყოვლადეურთხეული, უმშვენიერესი ღვთის ქმილებათა შორის, ჩვენი ხსნის დასაწყისი, ჩვენი შუამავალი ღვთის წინაშე. ცა და დედამიწა ხარობდა მისი შობისას. ასულის დაბადების დღესთან დაკავშირებით, იოაკიმემ უხვად შესწირა უფალს ძღვნად მსხვერპლი, მიიღო კურთხევა მღვდელმთავრისა და სხვა მღვდლებისაგან, და მიღოცვა ნაცნობებისგან. ყველამ გაიგო, თუ რა უდიდესი მადლის ღირსი გახდა იგი. იოაკიმემ გამართა დიდი ნადიმი, სადაც ყველა მეგობარი და ახლობელი მიინვია. იმ დღეს უამრავი ხალხი შეკირიბა იოაკიმესა და ანასთან. ყველანი მხიარულობდნენ და ადიდებდნენ ღმერთს.

ეკლესია ოდითგანვე განადიდებს წმიდა იოაკიმესა და ანას, როგორც „ღმრთის მშობლებს“: ჩვენი უფალი იესო ქრისტე ხომ მათ უწმიდესი ასულისგან, მარიამისგან, იშვა. როდესაც ვზემობთ ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს, განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ ქალწულ მარიამს, რამეთუ მან აღასრულა კაცობრიობის ხსნის ღვთაებრივი ჩანაფიქრი. ღვთისმშობლის შობის აღნიშვნის შესახებ პირველი ცნობები V საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. დაახლოებით ამავე დროს, დღესასწაული შევიდა საერთო საეკლესიო ლიტურგიულ კალენდარში.

საქართველოში კი ღვთისმშობლის შობის პატივსაცემად აგებული კათოლიკური ეკლესია მდებარეობს პატარა ქალაქ ვალეში.




# ქრისტეს თანამედროვე მოწევი

## ნეტარი ჰანა ხშანოვსკა

ჰანა ხშანოვსკა (პოლ. Hanna Chrzanowska) დაიბადა 1902 წლის 7 ოქტომბერს ვარშავაში, პოლონეთის მეცნიერების, კულტურისა და ექთნობის წინაშე დამსახურებულ ოჯახში. მამამისი, იგნაცი ხშანოვსკი, პოლონური ლიტერატურის ცნობილი პროფესორი, წარმოშობით მიწათმოქმედთა კათოლიკური ოჯახიდან იყო, ხოლო დედა, ვანდა შლენკერი, ვარშაველი მრეწველების ევანგელისტური ოჯახიდან. 1910 წელს მისი მშობლები გადავიდნენ კრაკოვში, სადაც ჰანამ წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია. შემდეგ მან მედდის მოკლე კურსი გაიარა. 1920 წლის დეკემბერში დაიწყო პოლონური ფილოლოგიის შესწავლა იაგელონის უნივერსიტეტში, თუმცა, როგორც კი გაიგო ვარშავის საექთნო სკოლის დაარსების შესახებ, სწავლა მაშინვე შეწყვიტა და ახლად გახსნილ სკოლაში შევიდა, რათა თავი მთლიანად საექთნო საქმიანობისათვის მიეძღვნა. ეს იყო საბედისწერო გადაწყვეტილება, რომელმაც მთელი მისი შემდგომი ცხოვრების გზა განსაზღვრა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჰანა გაემგზავრა საფრანგეთსა და ბელგიაში, სადაც გაიღრმავა ცოდნა უმუალოდ სოციალური ექთნობის სფეროში. იგი იყო ყოველთვიური, პროფესიული უურნალის - „პოლონელი მედდა“ რედაქტორი; აქტიურად ერთვებოდა კანონპროექტის - „კანონი მედდის შესახებ“ მომზადებაში, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდაა აღიარებული. ჰანამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლონელი ექთნების კათოლიკური ასოციაციის დაარსებაში.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ჰანას მრავალი ტრაგიკული გამოცდილება მოუტანა.



მას დაეღუპა მამა და ნათე- მოხალისედ წავიდა პოლონეთის სავები. მიუხედავად ამისა, ის სოციალური კეთილდღეობის სასოწარკვეთაში არ ჩავარდ- კომიტეტში და მთელი თავისი ნილა, დაბრუნდა კრაკოვში და ძალისხმევა ლტოლვილების,

პატიმრებისა და დევნილების მოვლას მოახმარა. განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა ობლად დარჩენილ ბავშვებს, მათ შორის, ებრაელებსაც, ეძებდა მათთვის მინდობით ოჯახებს და საცხოვრებლად უსაფრთხო ადგილებს, აწყობდა საზაფხულო ბანაკებს და საკვები პროდუქტების მოსაპოვებლად საქველმოქმედო ღონისძიებებს. ის უჩვეულო თავგანწირვით მუშაობდა, ხშირად ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებდა. ომის სისასტიკის გამოცდილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის შინაგან სამყაროზე. ეს იყო ღმერთში მხარდაჭერის ძიების, ლოცვის ძალისა და ევექარისტიის ნამდვილი მნიშვნელობის აღმოჩენის დრო.

ომის დასრულების შემდეგ პანა ხშანოვსკამ მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტთან არსებულ საექთნო და ბებიაქალობის სკოლაში სოციალური საექთნო განყოფილების ხელმძღვანელად. შემდგომ ცოდნის გასაღრმავებლად გაემგზავრა აშშ-ში. მრავალი წლის განმავლობაში იგი ასწავლიდა ვარშავის საექთნო ტრენერთა სკოლაში; როგორც ინსტრუქტორი და აღმზრდელი, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა ექ्टენების აღზრდას. 1957 წელს პანამ კოდეჟინის ფსიქიატრიული საექთნო სკოლის დირექტორის პოზიცია დაიკავა, თუმცა დაწესებულების მოულოდნელი ლიკვიდაციის შემდეგ, ნააღრევად პენსიაზე გავიდა. ამის მიუხედავად, ის კვლავ ერთვებოდა საექთნო საზოგადოების ცხოვრებაში. მან შეიმუშავა საყოველთაოდ აღიარებული სახელმძღვანელო - „მედდა“. პერიოდულად აქვეყნებდა პროფესიულ სტატიებს საექთნო უურნალებში. პანა ხშანოვსკა არ მალავდა თავის რელიგიურ მრჩამსს და ქრისტიანული ლი-

რებულებებისადმი ერთგულებას, რასაც თავისი ცხოვრების მაგალითით ამონებდა. ასეთი დამოკიდებულება იწვევდა მისი სტუდენტებისა და კოლეგების პატივისცემას, კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან კი - უკმაყოფილებას და გარკვეულ რეპრესიებსაც.

პენსიაზე გასვლა პანასთვის ჩვეული საქმიანობისთვის თავის დანებებას არ ნიშნავდა. მან საკუთარი გამოცდილებიდან იცოდა მრავალი გარიყული, ყოველგვარ ზრუნვას მოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის გასაჭირი. ყოველივე ამან მას გადააწყვეტინა შეექმნა ეკლესიურ სტრუქტურებზე დაფუძნებული და სახელმწიფოს არაეფექტური ჯანდაცვის სამსახურისგან დამოუკიდებელი სერვისი. ამ იდეით შეპყრობილმა პანამ მიმართა მამა კაროლ ვოლტილას, მოგვიანებით კრაკოვის ეპისკოპოსს, და მისი სახით თავისი ნამონცების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერი იპოვა. საეკლესიო იერარქების მორალური და მატერიალური მხარდაჭერით, მან მოაწყო სამრევლო საექთნო დაწესებულებები კრაკოვისა და არქიეპარქიის ტერიტორიაზე. თავისი ქარიზმატული ხასიათის მეშვეობით, პანამ იპოვა უამრავი თანამოაზრე და მოხალისე, რომელთა შორის იყვნენ: მოწყალების დები, მონაზვნები, სემინარელები, მღვდლები, ექიმები, პროფესორები და სტუდენტები. მათი დახმარებით იგი პაციენტებისთვის რეკოლექციებს აწყობდა, რაც ავადმყოფებს სიცოცხლის ხალისს უბრუნებდა. მისი ძალისხმევის წყალობით, ფართოდ გავრცელდა სწეულების სახლში წირვის ჩატარებისა და მათთან სამწყემსო ვიზიტების ჩვეულება. პანა ავრცელებდა მის მიერ შე-

მუშავებულ „ექტნის სინდისის გამოცდას“. პაპმა პავლე VI-მ იგი დააჯილდოვა მედლით „Pro Ecclesia et Pontifice“. პანას შინაგანი ცხოვრება დიდწილად ყალიბდებოდა წმიდა ბერნედიქტეს სულიერების შესაბამისად. 1956 წლიდან ის ტინიეკის სააბატოს ხელმძღვანელობდა. პანა მთელი ცხოვრების განმავლობაში ავადმყოფებსა და ტანჯულებს ემსახურებოდა, ამასთან, იგი უფრო და უფრო აცნობიერებდა, რომ ამით ემსახურებოდა ქრისტეს.

პანა ხშანოვსკა 1973 წლის 29 აპრილს გარდაიცვალა კრაკოვში. კრაკოვიცის სასაფლაოზე დაკრძალვის ცერემონიას ხელმძღვანელობდა კარდინალი კაროლ ვოლტილა, რომელმაც ქადაგებისას ნარმოთქვა: „გმადლობთ, პანა, რომ იყავით ის, ვინც ჩვენ შორის განასახიერებდა ქრისტეს მიერ მთაზე ნათქვამი ქადაგების ამ ნეტარებას: „ნეტარ არიან მოწყალენი“. ისინი, ვინც პანას უფრო ახლოს იცნობდნენ, მოწმობენ, რომ მან გმირულად შეასრულა მოყვასის სიყვარულის მცნება, ამიტომ კრაკოველი ექტნების წრეში გაჩნდა იდეა, მისი ნეტარად კურთხევის შესახებ. 1995 წელს ექტნებისა და ბებიაქალთა კათოლიკურ ასოციაციაში შეკრებილმა ექტნებმა სთხოვეს კარდინალ მაჩარისკის, დაწყო საბეატიფიკაციო პროცესი. კარდინალმა, რომელიც პანაზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ ის ექტნათა საზოგადოების სინდის ნარმოადგენდა, თანხმობით უპასუხა ამ თხოვნას.

2018 წლის 29 აპრილს, ხანგრძლივი საბეატიფიკაციო პროცესის შემდეგ, პაპმა ფრანცისკ პანა ხშანოვსკა ნეტარად შერაცხა. მისი წმიდა ნაწილები ჩამობრძანებულია საქართველოში, კამილელ მამათა სამლოცველოში.

კოლონირიდან თარმომა სტანისლავ ციბულსკი

## ოქანების ბანაპი - 2023

საქართველოს კათოლიკურ ეკლესიის ეპისკოპოს ჯუზებე პაზოტის მხარდაჭერით, 2023 წლის 21-27 აგვისტოს INER Georgia-მ ოჯახების საზაფხულო ბანაპი გამართა დაბა ურეკში. შეხვედრებს, რომლის თემა იყო - „ავაგოთ ოჯახი ქრისტიანულ ღირებულებებზე“, თავდაპირველად უძღვებოდა ეპისკოპოსი ჯუზებე პაზოტო, შემდგომ კი - მამა ზურაბ კაკაჩიშვილი და და ანა მარია კრიველარი.

შეხვედრები ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობდა ყოველდღიურ რეჟიმში. მეტწილად ეს თემა ყოველი ჩვენგანისთვის იყო დიდი დახმარება, დაფიქრება ჩვენი ოჯახების მთავარ ღირებულებებზე, რასაც დღეს დიდად ვართ მოკლებულნი და მოწყურებულნი. თემის ფარგლებში, მამა ზურაბ დეტალურად ისაუბრა ძირითად ზნეობრივ სათნოებებზე: კეთილგონიერება, სამართლიანობა, სიმამაცე, თავშეკავება, რაც აუცილებლად უნდა გავატაროთ ჩვენს ქრისტიანულ ოჯახურ ცხოვრებაში...

ამ თემებთან დაკავშირებით, თითოეულ ჯგუფში იმართებოდა დისკუსია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გამოცდილებების გაზიარება. ასეთი სულიერი საზრდო მე და ჩემს მეუღლეს დიდი ხა-

ნია აღარ მიგვიღია... კეთილგონიერება და სამართლიანობა მთავარი ღირებულებაა ოჯახის სიმყარისა და სიჯანსაღისათვის, ხოლო სიმამაცე და თავშეკავება ძალიან დიდ ძალისხმევას საჭიროებს ადამიანისაგან; სიმამაცე უნდა გამოვიჩინოთ მაშინ, როდესაც პირველ ნაბიჯს ვდგამო სიკეთისაკენ, ხოლო თავშეკავება გვმართებს, როდესაც თუნდაც დაუმსახურებლად შეურაცხველოფენ, ან მიდრეეკილნი ვართ არაჯანსაღი ჩვევებისაკენ...

„კამპოსკოლაში“ ლოცვისა და გართობის დროც გვქონდა... ვფიქრობ, ეს შეხვედრები დიდი დახმარება იყო თითოეული ოჯახისათვის ყველანაირი თვალსაზრისით; ბავშვებს ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობის, ზღვაზე სეირნობის, სხვადასხვა ადგილების მონახულების საშუალება.

ოჯახების სახელით, დიდ მაღლობას ვუზდი „კამპოსკოლის“ ყველა ორგანიზატორს იმისთვის, რომ იზრუნეს ჩვენი ოჯახების სულიერ თუ ფიზიკურ სიჯანსაღეზე და მოგვცეს შესაძლებლობა, თუნდაც ერთი ნაბიჯით წინ წაგვენია სულიერებისკენ მიმავალ გზაზე.

თეონა ტათალაშვილი



## სოციალური კაფე თბილისში

საქართველოს კარიტასმა 2018 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წინაშე არსებულ გამოწვევებზე დაიწყო მუშაობა და სოციალური კაფეს დაარსება გადაწყვიტა. გერმანიის კარიტასისა (Caritas Deutschland) და პოლონეთის საელჩოს (Polish Embassy Tbilisi) მხარდაჭერით სოციალური კაფეს სივრცეს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, სათანადოდ ალიჭურვა ყველა საჭირო დანადგარითა და ავეჯით. საქართველოს კარიტასის სოციალური კაფეს მიზანია შემ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და საზოგადოებაში სოციალური ინკლუზის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

„ჩვენი კაფე გამორჩეულია განსხვავებული, უგემრიელესი დესერტებით, არომატული ყავით და იმ ადამიანებით, ვინც აქ მუშაობს. ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ უმაღლესი ხარისხის დესერტებსა და მყუდრო გარემოს; ყველაზე ხშირად გვსტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ ეტაპზე გვყავს ცხრა დასაქმებული, მათგან ოთხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. რადგან კაფე ახლად გახსნილია, ყველაზე დიდი გამოწვევა სამუშაო პროცესების სწორად წარმართვაა“, - აღნიშნავს სოციალური კაფეს კოორდინატორი, ეველინა შაგინოვა.

დასაქმებამდე შემ პირები გაივლიან ტრენინგებს კულინარიული უნარებისა და მომსახურების შესახებ, რათა სამუშაო პროცესში მათ თავი კომფორტულად და დაცულად იგრძნონ. ისინი ეცნობიან კაფეს აღჭურვილობასა და უსაფრთხოების წესებს; შეფ-მზარეულთან ერთად მონაწილეობენ მომზადებისა და ინგრედიენტების შერჩევის პროცესში. გამოვლინდა პარტნიორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და დღის ცენტრები. ერთ-ერთი პარტნიორია პროფესიული სასწავლებელი „იკარუსი“, ასევე, დღის ცენტრები: „ბავშვთა ოჯახის საზოგადოება“ და „ანიკა“. ტრენინგის მონაწილეთა უმეტესობა აღნიშნული ორგანიზაციების მიერ იქნა მოწოდებული. ტრენინგები გაიარა ჩვიდმეტმა ადამიანმა.

სოციალური კაფე ხელს უწყობს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ინკლუზიასთან დაკავშირებით. კაფე არის საზოგადოების თავშეყრის ადგილი, სადაც სტუმრები და დასაქმებული პირები თანაბრად ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამომავლოდ ვფიქრობთ, მივყვეთ გეგმას, მოვიპოვოთ ჩვენი ნიშა ბაზარზე და ერთგული მომხმარებლის რიცხვი გავზარდოთ.

ლუკა ეიმერიძე



# საბაუნის ქრონიკა

## სულხან-საბა მრბელიანის წარმომადგენლების ოფიციალური უფლის მსოფლიო პატრიარქიანი

2023 წლის 31 აგვისტოს საბაუნის წარმომადგენლები იფიციალური უკვე მეორედ მიიღო კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქია, მისმა უწმიდესობამ, ბართლომეოს პირველმა.

სტამბოლში ვიზიტის დროს, საბაუნის წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ დაეთვალიერებინათ და შეეცნოთ ქალაქის მნიშვნელოვანი ადგილები: სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე, ხორას მონასტერი (ამჟამინდელი კარიეს მეჩეთი), ბალიკლის მონასტერი, ფანარი, წმ. გიორგის საპატრიარქო ტაძარი და საპატრიარქო რეზიდენცია, პრინცის კუნძულები და ჰალკის მონასტერი/სემინარია.

„სტამბოლი ისტორიითა და კულტურით მდიდარი ქალაქია. აგვისტოს მიწურულს მას ჩვენი უნივერსიტეტიდან მოზრდილი ჯგუფი ესტუმრა, რათა პატივისცემა დაედასტურებინა მართლმადიდებელი ეკლესის სულიერი წინამდღვრისათვის, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსისთვის. ეს უკვე მეორედ ხდება ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში. სტამბოლის მონასულების იდეა სპონტანურად გაჩნდა რომის პაპთან წლევანდელი ვიზიტის შემდეგ. საყოველთაოდ ცნობილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანთა ამ ორი მწყემსმთავრის ხშირი კავშირები. ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანიც ხომ ესაა, განათლებისა და უკეთ გაცნობის გზით არა მხოლოდ შევამციროთ წარმოსახ-

ვითი მანძილი განსხვავებულებს შორის, არამედ სულ უფრო უკეთ აღმოვაჩინოთ უცხოსა და განსხვავებულის აუცილებლობა იმისათვის, რომ თავად არ დავრჩეთ საკუთარ სივიწროვეში. ჯგუფს საშუალება ჰქონდა, კიდევ ერთხელ ჩაფლულიყო სტამბოლის მდიდარ ისტორიასა და მომხიბვლელ ტრადიციებში პატრიარქთან შეხვედრამდე. მოგვეცა შესაძლებლობა, გველოცა პატრიარქთან ერთად ჯერ ბალუკლის „სიცოცხლის მომცემი წყაროს“ წმიდა მონასტერში, შემდეგ კი წმ. გიორგის საკათედრო ტაძარში, რაც ამ ვიზიტის მთავარ მოგონებად დავგვრჩება“, - აღნიშნავს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორი, მამა აკაკი ჭელიძე.

ჰეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართველ კათოლიკეთა სავანეში ქართველ სტუმრებს სავანეზე მზრუნველი ზაზაძეების ოჯახის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნატალი ზაზაძემ უმასპინძლა. საბაუნელებმა მოინახულეს წიგნთსაცავი, რომელიც ასობით ხელნაწერსა და დაბეჭდილ წიგნს მოიცავს და, ასევე, ღვთისმშობლის ეკლესია.

ვიზიტის კიდევ ერთი ამაღლვებელი მომენტი მსოფლიო პატრიარქისა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესის მეთაურის, კიევის მიტროპოლიტ ეპიფანეს მიერ ერთად აღვლენილ წმ. მსახურებაზე დასწრება იყო.

კორესპონდენცია



## ბურგუნდის ღვინის ბერმონტვინის სატავები

ბურგუნდის მსოფლიოს წარუდგინა საფრანგეთის საუკეთესო ღვინოები. ბურგუნდია შედგება სამი ძირითადი, მეტად სხვადასხვაგვარი და ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული მეღვინეობის ზონისაგან. ჩრდილოეთით იწარმოება შაბლის თეთრი ღვინო; კოტ-დ'ორი, ცენტრალური ნანილი, გამოირჩევა შესანიშნავი წითელი ღვინით, რომელსაც დაძველების დიდი პოტენციალი აქვს; სამხრეთი კი - თავისი ახალი, წითელი ღვინით „ბოჟოლე“ (Beaujolais). თუმცა არსებობს კიდევ ორი, პატარა და ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ზონა - კოტ შალონებზი და მაკონი, რომლებიც მდებარეობს კოტ დ'ორსა და ბოჟოლეს შორის, სადაც აწარმოებენ როგორც თეთრ, ასევე წითელ ღვინოს.

თუ გვიანდელ ანტიკურ ეპოქაში და ადრეულ შუა საუკუნეებში ეპისკოპოსები წამყვან როლს ასრულებდნენ მეღვინეობაში, ბერმონტვინის გავრცელებასთან ერთად, ამ სფეროში ინიციატივა თანდათან, სულ უფრო და უფრო, გადადიოდა სააბატოების ხელში. პრინციპში, ეს ეხებოდა არა მხოლოდ მეღვინეობას, არამედ მთელ კულტურულ ცხოვრებას: იმ დროის საუკეთესო სკოლებს, უდიდეს სკრიპტორიუმებსა (ლათ. *Scriptorium* - გადამწერთა სახელოსნოები) და ბიბლიოთეკებს ფლობდნენ სააბატოები. და რაკი ყველაზე მეტი ინტელექტუალური კადრები ჰყავდათ სააბატოებს, სწორედ მათ კედლებში გამოიგონეს და დანერგეს უახლესი ტექნიკოლოგიები, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობისა და, შესაბამისად, ვენახების გაშენებისა და მეღვინეობის სფეროში. ერთ-ერთი ადრეული დასავლური სამონასტრო წესდების მიხედვით, რომელიც შედგენილია მეცნიერ-ენციკლოპედიასთის, არქიეპისკოპოს ისიდორე სევილიელის მიერ, ვენახების გაშენება-მოვლა-პატრონობა ეკისრებოდა სწორედ მონასტრის წინამძღვარს.

ბენედიქტელთა უძველესმა დასავლურმა ორდენმა საფუძველი ჩაუყარა სამონასტრო მეღვინეობას. წმიდა ბენედიქტეს ავტორიტეტმა, აგრეთვე იმან, რომ მან კურთხევა მისცა ბერებს, შეეტანათ ღვინო ყოველდღიურ რაციონში, ხელი შეუწყო მეღვინეობის განვითარებას. ღვინო, პურთან ერთად, სააბატოს მეურნეობის გამგის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად იქცა, რომელიც ასევე თვალურს ადევნებდა მარნის შევსებასა და ღვინის შენახვას. მონასტერში მისულ ვიზიტატორს, პირველ რიგში, უნდა შეემოწმებინა, იყო თუ არა იქ საკმარისი ღვინის მარაგი. ვიზიტატორი სავსებით კმაყოფილ დარჩებოდა, თუ სააბატოს შემოწმების შემდეგ თავის ანგარიშში დაწერდა: „მათ ღვინის მარაგი აქვთ მომავალ მოსავლამდე“.



ბენედიქტელებმა, რომელთაც მრავალი სააბატო ჰქონდათ საფრანგეთში, დაიწყეს ვაზის მოშენება, მაგრამ მათი დიდება მაღლ დაჩრდილეს მათმა მოძმეულებმა, რომელთაც დამოუკიდებელი, ცისტერციანელთა ორდენი დააარსეს. ეს იყო ფრანგული ორდენი, მისი სამშობლო კი - ბურგუნდია. ცისტერციანელთა ორდენი ფლობდა ქვანახშირის მაღაროებს, ამუშავებდა კალისა და მარილის სააბადოებს და, რა თქმა უნდა, ნერგავდა მეღვინეობას.

**1098** წლის შობას, ცხრა თვის შემდეგ, რაც ბერები დასახლდნენ სიტოში (ფრ. *Citeaux* - შუა საუკუნეების საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და უმდიდრესი მონასტერი), მათ მიიღეს პირველი ვენახი მერსოში (ფრ. *Meursault* - კომუნა საფრანგეთში, ბურგუნდიის რეგიონში) ბურგუნდიის ჰერცოგ ედ I-ისგან, მერე კი სხვა ვენახებიც. ბერები გულმოდგინედ ენეოდნენ მევენახეობას. გადმოცემის თანახმად, ისინი აღნიშნავდნენ: „ზედა ნაკვეთებიდან ყურძენი განკუთვნილია პაპისთვის ღვინის დასაყენებლად, შუადან - კარდინალებისთვის, ქვედადან კი - ეპისკოპოსებისთვის“.

საუკუნეთა განმავლობაში *Clos de Vougeot* მიიჩნეოდა საუკეთესო ბურგუნდიულ ღვინოდ. 1371 წელს სიტოს მაშინდელმა აბატმა ჟან VI დე ბიუსიერმა 50 გალონი (დაახლოებით 228 ლიტრი) სწორედ ეს ღვინო გაგზავნა ავინიონში, სადაც იმ დროს პაპის რეზიდენცია მდებარეობდა, პაპ გრეგორიუს XI-ის არჩევის აღსანიშნავად. გარკვეული ჰერიოდის შემდეგ აბატ ჟან დე ბიუსიერს, რომელმაც ეს საჩუქარი გაგზავნა, კარდინალის ხარისხი მიენიჭა.

*Clos de Vougeot* (კლო დე ვუჟ) არის ერთ-ერთი საუკეთესო ბურგუნდიული ღვინო, რომელსაც 1937 წლიდან აქვს სტატუსი AOP (Appellation d'Origine Protégé - წარმოშობის დაცვა) და მიეკუთვნება *grands crus* (მაღალხარისხის პროდუქტი) ღვინის უმაღლეს კატეგორიას.

# ბპპნი

მოთხოვთ, როგორიც სკოლის სახელმძღვანელოში უნდა შევიდეს



„ტკივილით და სევდით მაქვს, ბაბუ, გული სავსე... როგორლაც ამოვბობლდით მეთექსმეტე სართულზე მე და ბაბებიაშნი, სული ძლივს ამოვიტანეთ... მარა რათ გინდა... ჩამაგვამნარა სიხარული დედაშენმა და მამაშენმა, მე იმ დახვედრას და მიღებას არ ვწივი, ბაბუ, მაგრამა რომ იციან... რა ეშმაკი გამაჩერებს ამ ციხეში, ძალიანაც რომ შემეხვენონ... მაგრამ შენი კოცნის უფლება კი მქონდა, ბაბუკლა... რამდენჯერ სიზმარში დამსიზმრებიხარ... რამდენჯერ წარმომიდგენია ეს დღე, მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდი... ბევრი რომ არ მოგაბეზრო თავი, წუხელ შუალამეზე დედაშენის და მამაშენის ჩხუბმა გამაღვიძა... ისეთი გაბრაზებული იყო დედაშენი, თითქოს კეთროვნები ვყოლოდით სახლში, მამაშენს უჩიოდა, რა უნდოდათ, რომ ჩამოვიდნენ... ვერ მოესწრებოდნენ ჩვენს ჩასვლას და ნახვას? ეს ეშმაკის მოგონილი აკვანი რომ ჩამოათრიეს, სირცევილით თავი სად გამოვყოო ახლა... რა დროს ასეთი სისულელებია... მაგაში ჩავანვენ ახლა ჩემს ნანატრ შვილსო, მომაცილე, თორემ ფანჯრიდან გადავაგდეს, იცოდეო... მამაშენი კი ეუბნებოდა რაღაცას, მაგრამ მე მეტი არაფერი გამიგონია... გული ხელით მეჭირა და გათენებას ასე დაველოდე... მოვკიდე დილას ხელი ჩემს დედაკაცს და აკვანს და უსიტყვოდ წამოვედი... ისიც კი ვერ მოვახერხე, შენთვის მეკოცნა... წვერები გაგებარსა მაინცო, დედაშენმა...“

ვერ დავიმახსოვრე შენი სახე, ბაბუ... რომ სიზმარში მაინც დამსიზმრებოდი... მე მანდ რა გამაჩერებდა... ვზივარ ახლა ამ ვაგონში და ვუსმენ ბებიაშენის ქვითინს, ვილაცამ მკითხა, შვილები არ გყავთო... დედაკაცმა იმთავითვე უბასუხა — არა და გული ჩამწყდა... თითქოს მეხი დამეცა მკერდზე და ჩაიტანა ჩემი გულმკერდი ქვესკნელში... ამ აკვანს კი ვაჩუქებ სოფელში ვინმექს... თუ სადმე ერთი ბავშვი დაიბადება, მაგრამ მე ხომ ის შენი სიყვარულით გავაკეთე... მინდოდა შენ დაგეძინა და ჩემი ლოცვა-მაღლი დაგფენდა სასთუმალთან, ბაბუ... არასოდეს არ დაგავინყდეს, რომ ადამიანები მგლები არიან და ცხვრად ნუ მოაჩვენებ თავს,

თორემ შეგჭამენ, ბაბუ... დაუნდობლად შეგჭამენ... მიყვარხარ, ბაბუ... ნეტა, ისეთი ქალი დადგებოდე, ჩემს საფლავთან მოსული ამას ჩამომძახებდე: რა შვილიშვილი გაგეზარდა, ამირანო... მაგრამ მე ორი პარასკევი მიკლია და ალბათ ორ პარასკევში ეს არ მოესწრება... უფალს ებარებოდე, ჩემო მესისხლევ... გენაცვალოს შენი ბაბულია“.

1982 წ. 25 აპრილი...

ეს წერილი რომ წავიკითხე, დედაჩემი მძიმედ იყო ავად, არც კი ვიცი, რატომ გადმომცა 20 წლის მერე, შესაძლოა, სინაულის გამო... მაგრამ მე ვიცი, რომ ასეთი საქციელი ადამიანს ოდესმე ახსენებს თავს და თვითგვემაში ვარდება... სწორედ ასე იყო დედაჩემიც... უკურნებელ სენს ებრძოდა, მაგრამ ეს არაფერი იყო მისთვის... ცდილობდა ამქვეყნიური ცოდვები მოენანია და სულ ლოცვაში ატარებდა დღეებს... და როცა დედა აღარ იყო, მისგან დატოვებული ასეთი წერილი მივიღე: „ადამიანებს მხოლოდ ცხოვრება გვასწავლის ადამიანობას... შეხედე შენს თავს სარკეში და რაც ჩემი მსგავსი დაინახო, დაასამარე... წამალე და დაივიზე, შვილო... შენს თვალებში აუცილებლად ნახავ ბაბუას სახეს... მის ლამაზ სულს და ეცადე, ამ სულით იცხოვრო... გაგიჭირდება სიკეთით ცხოვრება, მაგრამ სჯობს შენ დაგიშავონ რამე, ვიდრე სხვას ატკინო... არ მისცე თავს უფლება, ჩემი განი დაგეპატრონის... ებრძოლე ჩემს ცუდს შენში, შვილო... და ილოცე ჩემი სასტიკი სულისთვის... ილოცე, გთხოვ“.

მას შემდეგ წლები გავიდა... როგორც იქნა, ექიმის დიპლომი ავიღე და ოჯახიც შევქმენი... ისეთი ბედნიერი ვიყავი, როცა გავიგე, რომ პატარას ველოდებოდი... მეუღლე სიხარულით ცას ეწია, სახლის სხვენი გამოაღო... გამიკვირდა, იქ რას ექებს მეთქი... სხვენიდან დიდი რახარულით რაღაც ჩამოიტანა კიბეზე... სახტად დავრჩი... მითხრა, ჩვენი შვილი აკვანში უნდა გაიზარდოს როგორც ნამდვილი ქართველიო... მეც ამ აკვანში გავიზარდე და ჩემი შვილიც ასე იქნება, გამეცინა... რა დროს აკვანია, საიდან მოიტანე, ან სად ნახე მეთქი... სიტყვა ბანზე ავუგდე... ოცდაშვიდი წლის წინ მამას და დედას, რომელიც ჩემზე ორსულად ყოფილა, მატარებელში ვიღაც მოხუცებთან უმგზავრიათ და იმათ უჩუქებიათ... გავშრი... მერე დიდხანს, გაგიჟებით ვკოცნიდი დამტვერილ, დაობებულ აკვანს და დროდადრო ტირილნარევი სიცილით ავხედავდი მეუღლის გაოცებულ თვალებს...

## ვათიპანის ელჩი საქართველოს მოვაბს



ვატიკანის ელჩი საქართველოში, არქიეპისკოპოსი უოზე აველინო ბეტენკური კავკასიას ტოვებს. იგი საქართველო-სა და სომხეთში წმიდა საყდრის დესპანი აღარ იქნება.

2023 წლის 30 აგვისტოს, წმიდა საყდრის დესპანი, პაპის ნუნციუსი საქართველოში, არქიეპისკოპოსი უოზე აველინო ბეტენკური, პაპმა ფრანცისკემ კამერუნსა და ეკვატორულ გვინეაში წმიდა საყდრის დესპანად დაინიშნა. შესაბამისად, არქიეპისკოპოსი საქართველოსა და სომხეთს დატოვებს.

საქართველოში წმიდა საყდრის სადესპანოს განცხადებით, მისი აღმატებულება, უოზე აველინო ბეტენკური კავკასიის რეგიონს 2023 წლის ოქტომბრის ბოლოს დატოვებს.

## ოთხი კათოლიკი მღვდელი მსახურებისთვის სამრევლოს შეიცვლის

ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტიოს გადაწყვეტილებით, საქართველოში მოღვაწე ხუთი კათოლიკე მღვდელი სამრევლოს შეიცვლის და 2023 წლის ოქტომბრიდან მსახურებას ახალ ადგილზე შეუდგება.

ცვლილებები შეეხება შემდეგ მღვდელმსახურებს:

**მამა ანჟეი გრაჩიკი** დატოვებს არალის წინამძღვრის მსახურებას და დაინუებს გორისა და ბეთლემის სამრევლოების წინამძღვრობას;

**მამა დარიუშ კომადოვსკი** დატოვებს გორის სამრევლოს და წინამძღვრად იმსახურებს უდე-არალის სამრევლოში;

**მამა პატრი ქომოშვილი** დატოვებს წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა სამრევლოს და წინამძღვრად იმსახურებს ვალეს სამრევლოში;

**მამა მიხეილ სურმავა** დატოვებს ვალეს სამრევლოს და ვიკარად იმსახურებს წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა სამრევლოსა და კახეთის რეგიონში.

ახალნაკურთხი მღვდელი **მამა კონსტანტინე აკოფაშვილი** დაბრუნდება რომში, უნივერსიტეტის ბოლო წლის გასაცლელად და იცხოვრებს წმიდა კლემენტ რომაელის სამრევლოში.



Catholic. ge

## განსვენება საუკუნო მიანიშა მათ, უფალო!



ვალერიან  
გოგიაშვილი  
\* 05. 11. 1958, ვალე  
† 13. 09. 2023, ვალე



თმა თელიაშვილი  
\* 25. 01. 1939, ვალე  
† 16. 07. 2023, ვალე



ნინო გოგიაშვილი  
\* 12. 02. 1940, ახალციხე  
† 17. 06. 2023, ახალციხე



ნინა ჯავახშვილი  
\* 02. 02. 1934, ვალე  
† 03. 07. 2023, ვალე



ვარა გოგიაშვილი  
\* 28. 04. 1937, ვალე  
† 06. 08. 2023, ვალე



საბა კურნელი მთლიანობა  
მთლიანობა - განვითარებული კულტურული მუზეუმი

# საბა

ISSN 2720-8001

გერმანიის რედაქციისა: პ. გარენიური ბრწყალერი CSS

სარიდაოინი კოლეგია: საქართველოს კულტურული მუზეუმის მთლიანობა, მეცნიერებლის, მწრმა დაცვისა, კულტურის სამსახურის

მუზეუმის გუნდის მიმღება, თა ამადიტ. ქ. საქ 2705, თბილისი, ვაჭარავი;

E-mail: saba.jurnal@gmail.com; რედაქტორის №1163, გარეთის შემთხვევაში მდგრადი მუზ 1995 წლის, © 2020.